საქართველოს ორგანული კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 09.01.2006) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება-დამატებები:

ა) მე-16 მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის *უ*[1] პუნქტი:

უ[1]) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება;

ბ) 22-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს „ნ[1]“ პუნქტი.

ნ[1]) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამუშაო რეჟიმის წესების დადგენა;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 46[2] მუხლი

მუხლი 46[2] თვითმმართველი ერთეულს ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

1. აკრძალულია თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის, ან რაიმე სხვა საფასურის შემოღება ძირითადი სასწავლო-აღმზრდელობითი და კვებითი მომსახურებისათვის.
2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის მოქმედების წესებსა და სამუშაო რეჟიმის დებულებას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.
3. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები:
   ა) იქმნება 2 თვიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და კომპლექტდება ჯგუფებად, ასაკის გათვალისწინებით;
   ბ) მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს 9, 10 ან 12 -საათიანი 2 დღის დასვენებით 5-დღიან სამუშაო კვირაში;
   გ) უნდა ანხორციელდებდნენ საგანმანათლებლო და ფიზიკური აღზრდის სპეციალურ პროგრამებს. პროგრამა შედგენილი უნდა

იყოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის და მიმართული იყოს გონებრივი და ფიზიკური განმტკიცებისა და ბავშვის ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების სრულყოფისაკენ;

დ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალხარისხიანი სასმელი წყლით, აგრეთვე, ცხელი წყლით, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვთა სრულფასოვანი და მრავალფეროვანი კვებით;

ვ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექიმის მომსახურებით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,